საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ზენაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ლევან ნემსაძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის N1/38 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძე.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2025 წლის 27 ივნისს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის ლევან ნემსაძე, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ლევან ნემსაძეს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 92 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 92%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის N1/49 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2025 წლის 9 ივლისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით ლევან ნემსაძე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. ამასთან, იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ ლევან ნემსაძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება - ლევან ნემსაძე წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ტრისტან ბენაშვილი

9 ივლისი, 2025 წელი